

საბჭოთა კავშირის

პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს!

საპარტიველოში მძიმე დღეებია, მოდერნიზაციის იმპერიამ ისი სეპარატივის საშუალებით ყოფილ სამხრეთ რუსეთის ავტონომიურ ოლქში, სამხრეთში, შექმნა ექსტრემალური ვითარება — საქართველოს ძირძველ მიწაზე იღვრება უღრანად აღამიანთა სისხლი მხოლოდ იმის გამო, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1922 წელს მკვიდრი მოსახლეობის დაუკითხავად შექმნილი ავტონომიური ოლქი. ამის საპასუხოდ, ბატონო პრეზიდენტო, სამოხაო საჩუქრად 1991 წლის 7 იანვარს ბრძანებულ-

ება უბოძეთ ქართველ ხალხს, რომლის ძალითაც ეს ურთიერთს უპარლამენტო საჭიროების იგნორირება, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას დავეუბრეთ მხარს და მოვითხოვეთ თქვენი ბრძანებულების გაუქმებას. ჩვენი სიცოცხლე საქართველოს, ეკუთვნის და მივლ ქართველ ხალხთან პროტესტს გიცხადებთ.

შოთა ჩოჩიაშვილი,
ხაბუთა კავშირიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი კიდაობა ძიულში.

ზასულ წელს საპარტიველოს სპორტსახმომცემ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წარუდგინა მიმართა ხმაელთაშუა ზღვის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს. (ტაქსტი ზამოქმადა „ლელოში“) ამ დღეებში მოვიდა პასუხი, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ბ-ნ ნუგზარ ენდელაძე
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის,
ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ პატივცემულ ბატონო!
გმადლობთ იმისთვის, რომ დიანტერესით ხმელთაშუა ზღვის თამაშების მონაწილეობით ქ. ათენში და ამის საპასუხოდ გაცემობიებით შემდეგ:
ხმელთაშუა ზღვის თამაშებს ხელმძღვანელობს ხმელთაშუა ზღვის თამაშების საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის აუზის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ფედერაციას.
ამ ორგანიზაციის სტატუსის შესაბამისად „ხმელთაშუა ზღვის თამაშები“ დასახელებულია ზღვის აუზის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საპარტიველო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანს.
პატივი გვაქვს გაცნობთ, რომ ვართ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სუვერენული რესპუბლიკა. საქართველოს რესპუბლიკამ 1989 წლის 6 ოქტომბერს შექმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მთავარი მიზანია საქართველოს სპორტსმენთა შემდგომი ფართო მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

საქართველს სპორტული ისტორია კარგადაა ცნობილი. საქართველოს სპორტსმენები საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ 1952 წლიდან, ამ ხნის განმავლობაში მათ მოიპოვეს ოქროს 28, ვერცხლის 22 და ბრინჯაოს 34 მედალი. სულ ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში მონაწილეობდა საქართველოს 131 სპორტსმენი. ბოლო ოლიმპიადაზე სეულში საქართველოს სპორტსმენებმა (16 მონაწილე) მოიპოვეს 12 მედალი.
საქართველოს სპორტსმენები ხშირად გამოდიან სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და თავისი გათამაშებაში, საერთაშორისო ტურნირებში.
ამასთან ერთად, საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს სურვილი აქვთ, გააფართოვონ თავიანთი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებთან. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობად მიგაჩნია მონაწილეობა 1991 წლის ათენის ხმელთაშუა ზღვის სპორტულ თამაშებში. როგორც ცნობილია, საქართველომ



დაიგუშაიდალი სპორტული გაზეთი
17 იანვარი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 8 (10 421) • შპსი 10 აპბ.
გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა ერთგული თანამშრომლის ფონდი.
საპარტიველო
საპარტიველოში მძიმე დღეებია, მოდერნიზაციის იმპერიამ ისი სეპარატივის საშუალებით ყოფილ სამხრეთ რუსეთის ავტონომიურ ოლქში, სამხრეთში, შექმნა ექსტრემალური ვითარება — საქართველოს ძირძველ მიწაზე იღვრება უღრანად აღამიანთა სისხლი მხოლოდ იმის გამო, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1922 წელს მკვიდრი მოსახლეობის დაუკითხავად შექმნილი ავტონომიური ოლქი. ამის საპასუხოდ, ბატონო პრეზიდენტო, სამოხაო საჩუქრად 1991 წლის 7 იანვარს ბრძანებულ-

ანვარიუზი
თანის ზადარიცხვის
თაობაზე გვაცნობათ.
„ადიდასი“ — 1000!
ეროვნული თავდაცვის ფონდში ფირმა „ადიდასი“ თბილისის სალიცენზიო მაღაზიამ ვადარიცხა 1000 მანეთი.
ანვარიუზი, მაღაზის დირექტორი.

საპარტიველო
პირველობა
კალათაურთში
● ვაჟები
გამარჯვება
სტუმრად
თბილისის „დინამოს“ კალათბურთულ ვაჟთა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გამართა კრასნოდარში, ადგილობრივ „იმპულსთან“. პირველი ტიმი დინამოელებმა ექვსი ქულის სხვაობით მოიგეს — 50:44. შესვენების შემდეგ კრასნოდარელები გააქტიურდნენ და პირითადი დრო ფრედ — 90:90 დამთავრდა. დამატებით დროში თბილისელებმა უკვე ითამაშეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდევ — 103:100. თბილისელებმა ყველაზე შედეგიანი იყო გია სანაძე, რომელმაც გუნდს 36 ქულა მოუტანა.
მორიგ შეხვედრას ჩვენი გუნდი 22 იანვარს კვლავ სტუმრად, რიგის ასკსთან გამართავს.
ჩემპიონატის სხვა მატჩების შედეგები:
ალმა-ბათა. ასკ (ალმა-ბათა) — „ბულიველი“ (კიევი) 87:74 (36:43).
ტაშვანთი. „უზსტრომეხანი-ცია“ (ტაშვანთი) — „სპარტაკი“ (ლუგანსკი) 102:86 (52:34).
მოსკოვი. ცსკა — ასკ (კიევი) 90:71 (40:22).

საპარტიველო ჩემპიონატი ხელბურთში • ვაჟები

სხვები სადღა არიან?

საზიგოდ გაიხსნა ხელბურთულ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. თამაშები ერთდროულად თბილისის სამ სპორტულ ბაზაზე ჩატარდა — ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპორტსკოლაში, სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტების დარბაზებში.
განსაკუთრებით საინტერესო იყო ასპარეზობა ვეტერანთა ნაკრების, ფოთისა და ზოოვეტის გუნდების მონაწილეობით. მათ გარდა, ამ ჯგუფში გამოდიან თბილისის „მარათე-II“-ის ახალგაზრდული კოლექტივი. მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით (38:37) სძლიეს ფოთის „ოქროს ვერძის“ ხელბურთელებმა ვეტერანებს, რომელთა რიგებში იყვნენ ისეთი ცნობილი ხელბურთელები, როგორიც არიან ანპოლოგოვი, ტაბიძე, დოლოძე, ნავროზაშვილი, კომახიძე, ბარამიძე, კეკელიძე, მძევი ბერიავილეები და სხვანი. სამედიცინო ჩვენმა ვეტერანებმა რეგულარულად

ზოოვეტის გუნდთან — 24:22; თავის მხრივ კი, „ზოოვეტელებმა“ დაჯაბნეს ფოთელები — 31:24.
ჯერჯერობით ვერ უწევენ გამოცდილ გუნდებს კონკურენციას „მარათე-II“-ის კაბულები (1975-1976 წ.წ. დაბადებულნი), მათ სამედიცინო ვეტერან წაგას: ზოოვეტთან — 19:34, ვეტერანებთან — 17:23, ფოთელებთან — 22:28. სამედიცინო, იმარჯვეს მათმა უფროსმა „კოლეგებმა“ — „მარათე-I“-ის (1974 წელს დაბადებულნი) ხელბურთელებმა, რომელთაც თელავის გუნდი დაამარცხეს — 38:28.
ორი მატჩი გამართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა და ორივეში წარმატებას მიაღწია: თელავთან — 36:22, „მარათე-I“-თან — 38:27.
ჩემპიონატის პირველ ტურსვე მოჰყვა პროტესტი. იგი ხელბურთის რესპუბლიკურ ფედერაციამ გასწავილველად შეიტანა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელიც დამარცხდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალგაზრდულ კოლექტივთან — 25:26.
სამწუხაროდ, ამ საინტერესო ასპარეზობას ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზებით აარიდეს თავი სამტრედიის, ქუთაისისა და ბათუმის ხელბურთელებმა. ვფიქრობთ, რომ სპორტის ადგილობრივი ხელმძღვანელები მიიღებენ ზომებს, რათა მათი გუნდები დაუყოვნებლივ ჩაებნენ ეროვნულ ჩემპიონატში.
შეგახსენებთ, რომ გათამაშების მომდევნო, მეორე ტური, ჩატარდება თელავში, ფოთსა და ქუთაისში მატჩის დასაწყისში.

მირაბ მებრეპელი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

მოკრივეობა
წარმატებით დაიწყეს
შვეიცარიის გამართულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოკრივეებმა. თბილისელი კობა გოგოლაძე უძლიერესი იყო 54 კგ წონის კატეგორიაში. ფოთელმა ზურაბ საჩხანიამ კი მძიმე წონაში გამარჯვა.
ორი დღის კრივე რამზ ფაღლიანი და პაატა გვახალია ამ დღეებში ფინეთში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

ბიხაროდანი



„ადიდასის“ სალიცენზიო მაღაზია თბილისში
თბილისის სპორტის ხახანის შენობის წინ, მიწისქვეშა განახლებულთან ამ დღეებში ხალხმრავლობაა. ხურობა ხომ არ არის, „ადიდასის“ ნაწარმს მოწვევებულ მომხმარებელს აქ გახსნა მაღაზია შენობაში. შენობაში შეიქმნა მთელი მსოფლიოში ცნობილი ფირმის პროდუქცია. ამ ფირმის სალიცენზიო მაღაზიამ 18 დასახელების სპორტული ნაწარმი დაიწყო თბილისის სპორტსმენთა ექსპერიმენტულმა ფაბრიკამ (დირექტორი რომან რურუა). ამ ფაბრიკამ უკვე დააწარმა თავი საქართველოში დაქვემდებარებას და პირდაპირი კავშირები დაამყარა ფირმასთან, თბილისში ფაბრიკის საკუთარი მაღაზიის გახსნაც ამის შემდეგ მოხერხდა.
— ახლო მომავალში ჩვენი ქველი გაფართოვდება, „ადიდასის“ ნაწარმს უცხოეთის ქვეყნებშიც მივიღებთ. პროდუქცია გაიყვანება როგორც მანეთებში, ისე ვალუტით — გვეთხრა სალიცენზიო მაღაზიის დირექტორმა ანვარიუზი დაუთავადა.

სამაგალოს
ალმრკინების ფონდი:
საპარტიველოს
რეაქციონერების
საოპერაციო
სამხარტიველო სფხ №521921
000700750
თანის ზადარიცხვის
თაობაზე გვაცნობათ.

სამაგალოს
ალმრკინების
ფონდი
ფონდად იქნა!
● თბილისის სპორტკომიტეტი — 500 მანეთი (გვაცნობა ვ. კანკა-ვაშ).
● თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი — 1015 (ე. მაჩიაძე).
● საქართველოს სავალუტო საკრედიტო სისტემის შექმნის ხელშეწყობი ფონდი, ბანკი — 75000 (რ. კოსტავა).
● საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები — 1500 (მ. კობახიძე).
● კოოპერატივი „სინალი“ — 800 (ა. მირიანაშვილი).
● ჩულურეთის რაიონის სავაზო-საექსპლუატაციო უბანი — 4000 (ა. ბიჩინაშვილი).
● თბილისის დიდუბის ავტოსადგომი — 5000.
● საპროექტო კანტორა „სოფლმურწარმო“ — 1500.
● რკინიგზულთა და სატრანსპორტო მშენებლობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების საჯარო კომიტეტი — 5000. თანამშრომლებმა დამატებით შეიტანეს — 508 მანეთი (რ. ბუგაინაშვილი).
● ყრუთა საზოგადოების პრეზიდენტი — 10.000 (ბ. შულაბაძე).
● სამგორის რაიონის მე-15 ბაგაბალი — 1000 (თ. გალუგავილი).
● სახელების კოოპერატივი „ვაშლიჯვარი“ — 1200 (შ. ახვლედიანი).
● კრწანისის რაიონის სამშენებლო-სამონტაჟო კოოპერატივი „თარაზი“ — 2000 (თ. ჩავანავა).

აბაზა
ძველი აბაზის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მეცხოველეობის მწარმოებელი კოოპერატივი „რიონი“ — 2000 (დეპეშით, ვ. კაპარავა).
თერჯოლა
აგროსამრეწველო გაერთიანების კოლექტივი — 10.000 (დეპეშით, ქ. ზარნაძე).
ბასკი
მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკა 100 000 (დეპეშით, თ. ტუხაშვილი).
მარაღი
მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმო — 2000. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან — 500. (დეპეშით, ვ. აბაიშვილი).
გორი
ტარის შემკეთებელ საწარმო — 2000 (დეპეშით, ზუბულური).
● გორის რაიკოოპერაციის გამგეობა — 20 000 (დეპეშით, მასკრაძე).

წალი ზარზანდელი...

მწვერვალადა არს ისა შორია

რომონა არაერთი სპორტსმენი, ანა დოლონაძე ოჯახის „სპორტულმა ატმოსფერომ“ აქცია სპორტსმენად. მისი მამა სოსო აკრობატიკის მისდევდა და არცთუ წარუმატებლად. ამ დროს ანა სპორტული ტანვარჯიშით იყო გატაცებული, დიდ სპორტსმენობაზე სულაც არ ფიქრობდა, ისე, ძმის კვლად სპორტთან სიახლოვე სურდა. ერთ დღეს კი, როცა ძმამ დის ვარჯიში იხილა ბატუტზე (ბატუტზე ხტობა სპორტულ ტანვარჯიშის ოსტატობის სრულყოფის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია), ისე მოეწონა (აკრობატიკაში, მოგვსენებით, „ენათესავეები“ ბატუტისტებს და კარგადაც იცნობენ სპორტის ამ სახეობას), რომ იფიქრა, სპორტული ტანვარჯიში არ არის ამის საკმეო. მოჰქონდა ხელი ანას და თბილისში, ყოფილ „შრომითი რეზერვების“ დარბაზში ნაცნობ მწვრთნელს მიჰგვარა.

რამდენიმე თვე დასჭირდა ანა დოლონაძეს, რომ შეგვებოდა ახალ სახეობას და ხანმოკლე ადამტიაციის დასრულებისთანავე საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა და... ამის შემდეგ დაიწყო...

— ახალ „პროფესიას“ მალე შევეგევი. — იგონებს ანა, — რადგან, როცა სპორტულ ტანვარჯიშში მივღვედი, ბატუტზე ხშირად მიწვედა ვარჯიში, რაც ჩვენი კომპლექსური მომზადების შემადგენელი ნაწილი იყო. ეტყობა, არ შემეძარა ჩემი ძმა, თუმცა, როგორც სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტობაც მალე მოგებოზე. ვადაწყვიტე, აღარ გამეგრძელებინა ვარჯიში. საქართველოს ნაკრები მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა, ამ მართლაც ალლოიანმა პედაგოგმა, მიიხრა, შენ კიდევ მოხვალ ჩვენიანო. მალე გამართლდა მისი სიტყვები — კვლავ მივედი დარბაზში და ზაურ მასწავლებლის ხელმძღვანელობით დავიწყე ვარჯიში. სწორედ მას ვუბნობდი, რომ დღეს სპორტსმენი მქვია და რაღაცას მივალწვი...

ჩვენ თქვენი ზარზანდელი წარმატებები უფრო გვანტრეგებს. ხომ არ გაიხსენებდით მათ?

— სიამოვნებით, ოღონდ თავიდანვე გეტყვით, რომ სინქრონულ ხტომებში, წარმატებით თუ წარუმატებლად, ვიასპარეზე მხოლოდ ლია ბენდიანიშვილთან ერთად, რომელიც ისე შევეთვისე, რომ ვერც წარმომიდგენია, სხვათა თუ გამოვალ „დუეტში“.

შარშან ჩემი წარმატებები კრასნოდარში დაიწყო, სადაც საკავშირო თასის გათამაშებაში III ადგილი დავიკავე, როგორც ინდივიდუალურად, ისე სინქრონულ ხტომებში, შემდეგ კონსონანტ გიორგი დობროვოლსკის სახელობის ტურნირზე მე და ლია მესამენი ვიყავით. ყველაზე დიდ წარმატებებს კი შევე-

ციაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მივალწვი — მოვიპოვე ყველა ოქროს მედალი, რაც კი გათამაშდა — ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომებში და გუნდურ პირველობაში. სამი მედლით დაჯილდოვდი რომელიც III ადგილზე ვიკავებდი, საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად კი II საპრიზო ადგილი დავიკავე დაბაზოს, გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, როგორც საკავშირო ნაკრების წევრი, მეც მეგობრობის მედალი. ინდივიდუალურ ხტომებში, სამწუხაროდ, VI ადგილზე აღმოვჩნდი — ასპარეზობის დროს ავად ვიყავი და ვერ შევძელი ოსტატობის სრულად გამოვლენა. არადა, საპრიზო სამეულში მოხვედრის



ანა დოლონაძე.

შანსი, პირველი ორი დღის შემდეგ დაგროვილ ქულეში რომ ვიხსენებ, საკმაოდ დიდი მქონდა.

ანა, ევროპის „ახლოდუტური ჩემპიონობა“ ახალგაზრდებს შორის იმის ერთგვარი გაჩანაცვალა, რომ უფროსებშიც გამოვლინდა ასეთი შედეგი, თქვენ რას ფიქრობთ?

— მსოფლიო ჩემპიონობა ყველა ბატუტისტის ოცნებაა — ეს სახეობა ხომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ არის შეტანილი და ბატუტისტისთვის ყველაზე მაღალი წოდება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულია. ერთხელ კი გამოცდილდა, მაგრამ შევეცდები, 1992 წელს ახალი ზელანდიის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვსწორო „შეცდომა“. სიამარულე ვითხრა, ჭრადობით იმედინად ვარ და თუ ეს დიდი სიხარული მიწერია, ვინატრებდი, კვლავ ლია ბენდიანიშვი-

ლონ ერთად გამემარჯვა სინქრონულ ხტომებში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მცხეთაში ცხოვრობთ და იქიდან დადებით უკველდით რად ინსტიტუტში და ვარჯიშზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ, სამწუხაროდ, დღემდე „ვერ მოხერხდა“ თქვენთვის თბილისში „თავშეხარის“ გამოქმენა, რათა ხელი არ შევლოდით საწვრთნელ პროცესში.

— ვარჯიშში მართლაც მეზღებო ხელი, ზოგჯერ ვაგვიანებ, ხშირად ვაცდენ კიდევ, — არც ისე ადვილია მცხეთიდან უკველდით რად თბილისში სარეზოლი. ერთი სიტყვით, როგორც ვახერხებ, ისე ვვარჯიშობ. პრეტენზიული არა ვარ, მაგრამ მაინც ვიტყვი: სპორტსმენებს არ გვილიხინს, მითუმეტეს, ბატუტისტებს, ჩვენთან კი ყველა გამარჯვებებს ელის. იშვიათად თუ ვინმე იკითხავს, რის ფასად გვოჯდება თითოეული თასი და მედალი. არაერთხელ გვიწვნივთა საკავშირო ასპარეზობათა მსაკვების ხრიკები — ქულების დაკლება, მონაწილის, რომელიც ხელს აძლევთ, იმ ნაკადში ჩასმა და ათასი სხვა. არადა, ჩვენი ბატუტისტები არაფრით ჩამოუვარდებიან, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ბატუტისტებს. პერსპექტივა საკმაოდ დაიმამედებელია — მოდის ნიჭიერი თაობა, რომელსაც ძალუძს ღირსეულად ზღვოს წინამორბედთა ტრადიციები.

ერთ კონკრეტულ მაგალითს გავიხსენებ: 1988 წელს გერმანიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ხტომებში მე გავიმარჯვე, II ადგილზე რუსულან ხოვერია ვავიდა. მესამეზე — ლია ბენდიანიშვილი. მე და ლიამ სინქრონულ ხტომებშიც ვიმარჯვეთ. გარდა ამისა, გუნდური ჩემპიონობისთვის სამივეს ოქროს მედალები გავიმარჯვეთ. უცხოელები ზემორბდნენ, ბარემ თბილისში ვამარჯობთ საქართველოს ჩემპიონატი და მსოფლიო ჩემპიონატი დაგერქმიათ, რაც მოსაგები იყო, ყველაფერი თქვენ მოიგეთო.

როგორც დარწმუნდით, ამ წერილის ისე დასრულება არ იქნება, ორიოდ სიტყვა ლია ბენდიანიშვილზეც რომ არ ვთქვით (მით უმეტეს, ეს ანას დიდი სურვილიცაა), თუმცა მან შარშან ისე „მდიდრულად“ ვერ იასპარეზა, როგორც მისმა მეგობარმა. ლიაც ევროპის ორგზის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის, ოღონდ ორჯერვე მხოლოდ სინქრონულ ხტომებში და გუნდურ შეჯიბრებაში, არის არაერთი საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზორი. სხვათა შორის, იგი ძალზე უღებლა — თითქმის ყველაზე ტრადიციულად ასპარეზობს, ევროპის ჩემპიონობაც ორჯერვე ტრადიციულად მოიპოვა. შარშანაც ეს იყო მიზეზი, რომ ტრადიციულად ვერ აუბა მხარი ანას და თითქმის მთელი სეზონი გაუტედა. არადა, ფაქტია, ლია ნიჭიერი, მზარდი სპორტსმენია და შორს არ უნდა იყოს ის დღე, როცა მასაც „მიეზღება კუთვნილი“.

ქსაუბრკ ლეანა ჯანაბიშვილი.

შანი შიძრისა, შანი ბანსჯინი რომენული ზიგ-იომიკა

სპორტი, აკრობიკა და... სხვა პრობლემები

სპორტული კომპლექსი მიხაკებს ყიდის, სპორტულ სკოლაში ხათამაშო კომპიუტერი დგას, საკურო აუზში ხილამაზის ხალონი გაიხსნა, საშუალო სკოლებში სპორტული კომპარტივები ჩამოყალიბდა, ქუთაისის სტადიონზე მწვერების დიდ აწყობენ, სოხუმის სტადიონზე ცნობილ მომღერლებს იწვევენ, ბორჯომის სტადიონზე კარტინგებს აქირავენ... ყოველივე ეს, ცხადია, თვალსაც კრის და ყურსაც ეხამაშება, მაგრამ საზარო ეკონომიკა, ანე რომ გულუვლებს ყველას, კარს მოგვარდა.

სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლა საკმაოდ რთული პროცესია და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრი რამ ჩვენთვის საერთოდ უცნობია, უნდა ვთქვათ, რომ წინ მეტად სერიოზული გამოცდა გველის. ყველაფერი ისე რომ დარჩეს, როგორც დღემდე იყო (შხედველობაში გვაქვს სახელმწიფო დაფინანსება), სპორტი მაინც მეტად არასანაბრებელ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

დღეს თანამედროვე სპორტში-რისო სტანდარტების შესაფერის ინვესტირ-მოწყობილობისა და აღჭურვილობის გარეშე, მთლად სპორტულ შედეგებზე უაპარატიო ხედვებზე. თუ აღუვრფველივთ ამას, ასე თუ ისე, ცენტრალიზებული წესით ვიღებდით. მომავალში, ამის იმედი არ უნდა გვექონდეს.

არაფინ უწყისი, კიდევ რამდენად გაძვირდება სატრანსპორტო, სასტრუქტული, კომუნალური მომსახურების, კვებისა და სხვა ხარჯები. ამას დაუმატებთ მიწის გადასახადი, საექსპლუატაციო, სამეურნეო და ათასი სხვა ფაუტვალისწინელი ხარჯები.

სპორტულ ნაგებობათა შემოსავალი მაყურებლის დასწრებაზე და მოკიდებული არსებულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა მდგომარეობამ და, შესაბამისად, მოსახლეობის განწყობამ, ბუნებრივია, დააქვეითა ინტერესი სპორტული და საერთოდ სანახაობითი ღონისძიებებისადმი. ისიც გავითვალისწინოთ, რომ დღემდე ფოკუსურისა და სპორტისთვის გამოყოფილი სახსრები მოთხოვნათა მიწოდების ვერ აკმაყოფილებდა. თბილისის სპორტომიტეტს, მაგალითად, ნაკრები გუნდების მოსამზადებლად უფლებდა აქვს, ჩაატაროს 14-დღიანი შეკრება 2 მანეთისა და 50 კაპის დღიური კვებით (!).

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმული დადებით ემოციებს ვერ გამოიწვევს, მაგრამ მწარსინამდვილეს ვერსად გავექცევით, და, რაც უფრო მალე გვაკეთებთ საქირო დასკვნებს, მით უკეთესია.

და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: როგორც იქნა, ვერსისეთ ეროვნულ პარლამენტს, დღეს თუ ხვალ, საქართველო დამოუკიდებელი განდება. ეს გარდასვლია. თუ რა მეგვედრება მიიღოს ახალმა პარლამენტმა, ყველასათვის ცნობილია: მოშლილი ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა; ურთულესი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული და ეკოლოგიური პრობლემები. სწორედ ამიტომ, წინასწარ უნდა განვიწყობთ საიმისოდ, რომ რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამ უმწვევესი პრობლემების გადაჭრამდე (მოსახლეობის გამოკვება, ბინათმომწყობა, ენერგომომარაგება და სხვა) ფიზიკურ კულტურასა და სპორტს შესაბამისი ყურადღება ვერ დაეთმობა. თუმცა, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტული კულტურის საკითხი ერთდროს პრობლემატურ საკითხად მუშაობს.

„ვერ პირველ“ ეტაპზე საკუთარ ურთიდადობაზე ჩვენ მეტი გულდასდევებით უნდა ვფიქრობოთ. მაინც უნდა გვჩანთ, როგორ მოვიქცეთ?

— დღეს პაერვიტი გვეკიდება ალლოიანი, ინიციაციონი, შემოქმედი სპეციალისტები, საქმიანი ხალხი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

დღეს კანონი უფლებებს გვიძლევს, ბევრი ისეთი რამ ვაკეთოთ, რაც ორიოდ წლის წინ წარმოუდგენელი იყო.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, პატენტო, კომპარტივი, მეტიერ წარმოება, საწარმოო კომპარტივი, სპორტული კლუბები, ვაერთიანება, დამოუკიდებელი ფეფერაცი და სხვ. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სპორტული „ნაგებობები“. რატომაც დამკვიდრებულია აზრი, თითქოს, ვთქვათ კალათბურთის და რბაზი, მარტო კალათბურთის უნდა დაეთმოს. ეს, მცდარი მიდგომაა — თუ ნაგებობა ამის საშუალებას იძლევი, რატომ არ შეიძლება გაიხსნას ათლეტური ტანვარჯიშის, აღმო-სავლური ორთაბრძოლის, აერობიკის, მასაჟის, სამეურნელო ფიზკულტურის, თუ გნებავთ სპორტული ნაწარმის საამქრო, ჩამოყალიბდეს სარეგონტო-სამონტაჟო ბრიგადები და სხვა. ერთი სიტყვით, უნდა გამოვიყენოთ თითოეული კუთხე-კუთხუღი.

წარმოება-დაწესებულებებთან ზემოყურდების საფუძველზე შეიძლება დაინერგოს საწარმოო ტანვარჯიში, მომზადდეს სადრები, მოეწყოს მუხვებზე ცნობილ სპორტსმენებთან, ჩატარდეს საჩვენებელი გამოსვლები; მასობრივი შეჯიბრებები, ტურნისტული ლაშქრობები, მაყურებლის მიზიდვის მიზნით, სტადიონებზე მოეწყოს საჩვენებელი გამოსვლები, სპორტული ლატარია, აუქციონი, შოუ-კონცერტები და სხვ.

სპორტული ორგანიზაციის კოლექტივს უფლება აქვს იქვე, თაბე-ბაზაზე, გახსნას საწარმოო კომპარტივი, იჭაროთ აილოს ობიექტი ან მთლიანად შეისყიდოს სპორტული ნაგებობა.

ბუნებრივია, როდესაც ფასიან მომსახურებაზე ვსაუბრობთ, რაღაც თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობა აქვს სპორტულ ნაგებობათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, აღჭურვილობას, მწვრთნელთა კვალიფიკაციას, კულტურულ-ესთეტიკურ დონეს, სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებსა და სერვისს.

ამ მიზან, სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობა გვაქვს. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეკლამას. უცხოეთის ფირმები ყოველწლიურად ათობით მილიონ დოლარს ხარჯავენ რეკლამაზე, ჩვენ კი უპირველესად მდგომარეობაში ვართ. ის რაც კარგია, არ არის და არც რეკლამა სჭირდება; რაც უფარგისი და გადასადგმობია, მას ვერანაირი რეკლამა ვერ უშველის. და სპორტში, ჩვენ ძალიან ზოგადი წარმოდგენა გვაქვს რეკლამაზე. მაგალითად, გზუთის ქალაქში ნაბეჭდი ყოველად უფერული აფორა რა ბეგებია.

სპორტულ მუშაკებს ხშირად დიდი იმედი აქვთ სპონსორების. სპონსორობა მატერიალური დახმარების მართლაც საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ სპონსორის თავისი მიზნები აქვს, ძირითადად ეს მისი ფირმის, კონცერნის წარმომადგენლის რეკლამას ეხება. ეს პროცესი ჩვენში ახალგაზრდულად და მომავალში საუკეთესოა, რომ ამდგომლობის ვითი წაიღეს. საქმე ის განლაგებ, რომ ერთი სახსრების გაღება, როდესაც ფულს სახელმწიფო გაძლევს, მაგრამ სულ სხვაა, როცა თავად თვითდაფინანსებაზე ხარ და ფულიც შენი საშოვნელია.

საერთოდ, იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშლის, მაგრამ ისევ და ისევ, ჩვენშივე უნდა ვვმუშაოთ აუთვისებელი რეზერვები. ასეთი რეზერვი კი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ყველა რგოლში გამოიძენება. და თუ ეს დღესვე არ გვაკეთებ, ხვალ თვით ცხოვრება გვიძლევს და შეიძლება გვიანაც იყოს. ამიტომ უნდა ვისწავლოთ, ვემუშაოთ. სხვისგანაც ვაღმოვილოთ და მომავალზე ვფიქრობთ.

სპორტი, ეკონომიკა და... სხვა პრობლემები

(დასაწყისი)

ამ მხრივ უკვე გადაიდა პრაქტიკული ნაბიჯები. ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტი ერთადერთია, სადაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის ეკონომიკა ისწავლება.

ზიარად მიხდება სხვადასხვა უწყებების ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ურთიერთობა და გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ბევრ მათგანს წარმოადგენს არა აქვს მათ უფლებებზე და დღევანდელ სიძულვეზე და რაც ყველაზე საგალალოა, ისინი ზიარად ახლის ძიების არავითარ სურვილს არ ამჟღავნებენ.

ეკონომიკა ურთულესზე ურთულესი დარგია. სწორედ ამიტომ უნდა ვისწავლოთ ეკონომიკის ძირითადი საფუძვლები, ვისწავლოთ მიმდინარეობა და ვისწავლოთ ხარჯვა. მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებას თავისი მიუღწეობა; ხოლო დიდ, პროფესიულ სპორტს — თავისი.

მოსახლეობის გაჯანსაღების საკითხი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში. რამეთუ ერის განვითარება საფუძვლიანია და მის სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა, ამ თემაზე „ლელი“ პირველად აღმოაჩინოს ზედა და ამას შესაბამისი გამოსახულებები მოკვება. ასე რომ, ღრუბლი მთის ძირითადი მიმართულება გვესახება: ერის გაჯანსაღება და დიდი სპორტი.

საქართველოს დღეს პროფესიული სპორტი სჭირდება. დიან, პროფესიული. ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას. გვერდებზე რომელიღაც სპორტის სტატუსი მისთვის დამაინათებელი სოციალური და ეკონომიკური უფლებებით, რამეთუ ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებული ე. წ. საბჭოური სისტემა სპორტსმენის ექსპლუატაციის უმდიდრეს ფორმას წარმოადგენდა.

ვიფიქროთ სპორტსმენთა ექსპორტზეც; არც ეს არის სათავისო, პირიქით, ეს ორმხრივად სასარგებლოა.

აღვზარდით „ვარსკლავები“, რადგან ზიარად ერთი სპორტსმენი ქმნის ამინდს. გაისხენეთ ყოფილი

„დინამოს“ 80-ათასიანი სტადიონი, ზიარად ერთი „ვარსკლავის“ სანახავად მოსული მათურებელი რომ ავსებდა.

სპორტი დღეს ერის ემოციური განცდების ბარომეტრია. აბა, ერთი წუთით წარმოადგინეთ — გამარჯვებულთა კვარცხლებების უმდიდრესი საფეხურზე მდგომი ქართველი, ათეულ ათასობით ფეხზე ამდგარი მათურებელი, მილიონობით ტელევიზორთან მჯდომი, ზეადმართული, მრავალტანჯული სამფეროვანი ქართული დროშა და ჩვენი ეროვნული პიში.

განა ეს ქართველი კაცის სულიერი ამადლების უდიდესი გამოვლინება არ არის? ჩაფარით მეტი, ღია საერთაშორისო ტურნირები, მხოლოდ, ზემოხსენებულის არ იყო, მომპირიოდაც აუცილებელია და, სადაც საჭიროა, იქ სარჯვასაც არ უნდა მოვერიდოთ. ვინ მოთვლის, რამდენი შეიღმნეთიანი თასი და სქელტანიანი წიგნი გვინახავს სპორტსმენთა დაჯილდოების შემდეგ უკვე სანაგვეში ჩაყრილი.

უნდა გამოვძებნოთ სახსრები, შევქმნათ სოლიდური საბრუნო ფონდები. უნდა გაფართოვდეს ფედერაციების, გაერთიანებების, კლუბების უფლებამოსილება სფერო.

შევიჩინოთ მრავალხრიანი სპორტი, საჭიროა და, რაც ყველაზე მთავარია, თავის საქმეზე შევყარებული ინიციატივები ჩაიხსნა.

აღბათ ბევრი იტყვის: კარგია, ბატონო, ყოველივე ეს, მაგრამ სად გამოვძებნოთ სახსრები? იმ საკითხებზე, რომლებსაც ეხლა შევხვებით, ჯერ კიდევ 1983 წელს მქონდა გამოქვეყნებული ვრცელი წერილები. თავს უფლებას მივცემ კიდევ ერთხელ დაგუბრუნდე მათ.

რუსულთაგან 250-ზე მეტი სხვადასხვა რანგისა და დაქვემდებარების სპორტული სკოლაა, რომელთა უდიდესი ნაწილის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ინვენტარ-მომწყობილობა და სპორტული შედეგები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიშველებო: 1989 წლის IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში რესპუბლიკის 28 რაიონისა და ქალაქის სპორტულმა სკოლამ ნაკრები გუნდებისათვის ერთი სპორტსმენიც ვერ მოამზადა (1).

რად გვიწოდებდა ისეთი სპორტული სკოლები, რომელთაც საკუთარი სპორტული ბაზა კი არა, ზიარად მწვრთნელთა სამუშაო ოთახიც კი არა აქვთ. განა უმჯობესი არ იქნება, შევქმნათ 25-30 ოლიმპიური რეზერვის სკოლა, შევუქმნათ მათ ყოველგვარი პირობები, ზოლო მორჩენილი თანხები ისევე სპორტს მოვახმაროთ?

კიდევ სად გამოვძებნოთ სახსრები? — ათეული წლების განმავლობაში რაიონულიდან დაწყებული და საკავშირო დამთავრებული, ტარდება სპორტკადები, თამაშები, უნივერსიადები და სხვა ღონისძიებები.

შორს რომ არ წავიდეთ, ისევე IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშები გავეხსენოთ, რომელშიც სპორტის 43 სახეობაში ნაკრები გუნდები გამოიყვანა მხოლოდ რუსეთში, უკრაინაში და ჩვენ (1).

საკითხავია, საჭიროა თუ არა სპორტის ოთხ ათეულზე მეტ სახეობაში მონაწილეობა მხოლოდ იმისთვის, რომ სადაც ანგარიში მოვისხენიოთ — აი, ჩვენ ამდენ სახეობაში ვისაპარებოთ... ამ დროს კი 513 მონაწილიდან 116-მა, ე. ი. ერთმა მეხუთედმა, ჩათვალა ვერ მოგვცა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში მე-12 ადგილზე დაბლა 14 სახეობაში აღმოგჩნდით, ზოგ სახეობაში კი მე-18, მე-19, მე-20, 21-ე ადგილებიც დაგიკავეთ.

ისევე კითხვა: რა გვიჯდება წლების განმავლობაში სპორტის ოთხ ათეულზე მეტ სახეობაში ასეთ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა?

იქნებ აჯობებდეს სხუთი ათეული სპორტის სახეობიდან ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის შევარჩიოთ ისეთი სახეობები, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს, ჩვენს ბუნებას და ქართველი კაცის სულსა და გულს მიესადაგება. მთელი სახსრებიც მათ მოვახმაროთ და სისხ-

სორცული ეროვნული სახეობების აღორძინებაზეც ვიფიქროთ.

ჩვენ სპორტის არცერთი სახეობის და არც სპორტკადების წინააღმდეგნი არ ვართ, პირიქით, ოღონდ სპორტის სახეობათა რაოდენობას თვითმიზნად ნუ გავიხდით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველივე ზემოხსენებულის გარდაქმნა საჭიროდ მტკიცებელი პროცესი იქნება, ისევე როგორც ყველა სფეროში, მაგრამ ზედა რომ მივინც იძულებულნი ვაქვს დავიხდეთ.

და კიდევ ერთი მეტად მწვავე საკითხი — უარი ვთქვათ თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობაზე?

ანჭარება არც ერთ საქმეში არ ვარც და არც ჩვენ ვვარგებთ.

— მართალია, საქართველოს 80 ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი ჰყავს, უფრო მეტი მსოფლიო ჩემპიონი. ისიც მართალია, სეულის ოლიმპიურ თამაშებში 16 მონაწილით 12 მედალი რომ მოვიპოვეთ, მათ შორის 5 ოქროს მედალი. ეს შედეგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას დაამწვინებდა, მაგრამ მორიხი მოლომდე ობიექტური ვიყოთ და ყოველივე მიუკერძოებლად შევაფასოთ.

ჯერ ერთი, სეულის ოლიმპიადის 12 მედალიდან 6 გუნდურ სახეობებშია მოპოვებული, ხოლო 5 ოქროს მედალიდან 3 ასევე გუნდურ სახეობებში მივიღეთ. (გ. კეტაშვილი, ვ. გოგოლაძე, ვ. აფთიაღი). ახლა პირდაპირ ვთქვათ, გვექნებოდა თუ არა ამდენი მედალი, ჩვენი სპორტსმენები წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრებში რომ არ ყოფილიყვნენ? აქვს თუ არა დღეს ჩვენს რესპუბლიკას იმდენი შეკრება-შეჯიბრებების, საერთაშორისო შეხვედრების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინვენტარ-მომწყობილობის, სპორტული ფორმის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის, სამედიცინო-სამეცნიერო მომსახურების, მატერიალური ანაზღაურების და სხვა მრავალი ღონისძიებების საშუალება, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს? კავითვალისწინებით, სპორტის ცალკეულ სახეობათა სპეციფიკა და თავი-

სებურება — ის რაც ერთობლივად შეიძლება უმტკიცებელი იყოს, მეორეს შეიძლება დიდად ავსოს.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ნაკრები გუნდის ერთი წევრის შენახვა წელიწადში სპორტის სახეობების მიხედვით 16-დან 50 ათას მანეთამდე ჯდება. (მომავალში ეს ციფრი ერთი ზუთად გაიზარდება). აღარას ვამბობთ იმ საკმაოდ დიდ საფულურ შესატანზე, რაც ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირის ახლავს.

მე მხოლოდ ჩემს აზრს გამოვთქვამ. ნუ ანჭარებდით, სადი გონებით ავწონ-დავწონთ ყოველივე; გამოვიყენოთ საბჭოთა ნაკრები გუნდების ყველა შესაძლებლობა; მოვახვედროთ მათში რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი, (რაც დღითიდღე სულ უფრო გავიძნობდება); პარალელურად ჩვენს შინაურ საქმეებს მივხედოთ, სპორტული იერარქიის მრავალსაფეხურიანი სისტემა, უფრო სწორად უსისტემოა, მოვაწესრიგოთ; შევქმნათ ერთმართველი სახელმწიფო ორგანო, თუნდაც რამდენიმე ცივილიზებული ქვეყნის მოდელის გამოყენებით. ჩამოვაყალიბოთ ორგანიზაციულად, გავაუმჯობესოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ავიმართოთ კვალიფიკაცია, სრული დამოუკიდებლობა მივცეთ ფედერაციებს, გაერთიანებებს, კლუბებს, მხარი ავუბათ და გავაძლიეროთ სეოკი; ვეძებოთ გზები და არჩევი დამოუკიდებელი კონტაქტებისა. შეიძლება ვცდებოდ, მაგრამ რესპუბლიკის გარდასავალ პერიოდში ეს გზა უფრო რეალურად მესახება.

ის ნანატრი დღე, ალბათ მალე დადგება და ჩვენს ეროვნულ ნაკრებსაც მწვანე შუქი გაეხსნება. მაშინ კ...

ასე რომ, სპორტის სტრატეგია, ტაქტიკა და ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური საკითხები ერთ კონტექსტში გვესახება, სადაც ერის გაჯანსაღება და ქართული სპორტის წინსვლა ჩვენი საკეთებელი საქმე და უპირველესი ამოცანაა.

გივი პირველავაშვილი

ჩოგბურთის აპეგები



ადელაიდა. დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც თავისებურ რეპეტიციას წარმოადგენდა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წინ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს პირველი და მეცხრე „ჩოგბურთის“ შედეგი სტეფან ედბერგი და 19 წლის იუგოსლავიელი გორან ივანიშვილი. გამარჯვება, შორეული ადგილი და მთავარი პრიზი იუგოსლავიელმა ჩოგბურთელმა მოიპოვა — 0:6, 6:3, 6:4.

სიდნეი. ახალი სამხრეთ უელსის (ავსტრალია) ჩემპიონი გახდა

26 წლის ფრანგი ჩოგბურთელი გი ფორე, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში აჯობა გერმანელ მიხაელ სტინს — 6:3, 6:4. ფორემ პირველად მოიგო მსოფლიო სერიების ტურნირი. ქალთა ასპარეზობაში წარმატება ჩეხოსლოვაკიელ იანა ნოვოტნას მოუტანა, რომელმაც ფინალში ესპანელი არანტა სანჩესი დაამარცხა — 6:4, 6:2.

ოკლენდი. ახალი ზელანდიის ღია ჩემპიონატში ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა ჯარულ ნოვაჩეკმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ადგილობრივ ჩოგბურთელს ეან-ფილიპ ვლორენსს მოუგო 7:6, 7:6.

ოცნება შეწყდა

თითო ქართველის დაკარგვა ტრაგედია ჩვენთვის. ახსნის ტრაგედია, როცა სრულიად წორნის ხეცოცხლე გამოგვეცლება ხელიდან. მხოლოდ ათი დახადების დღე გადინდა ხოსო ამაშუკელმა. შეთერთმეტე კარს იყო მომდგარი, ვერ მოესწრო...

ყველაფერი უყვარდა ხოსოს, რაც კარგი იყო, რაც ღამაში, მაგრამ სპორტი განსაკუთრებით. ფიზიკურად ინსტიტუტის ბავშვებსა და მოზარდთა ექსპერიმენტული სასპორტო სკოლის აღსაზრდელი, სადაც მან წლები გაატარა, დიდ სპორტსმენობაზე ოცნებობდა, საამისი ხო ნიჭი და მონღოლმაც არ აკლდა, მაგრამ...

სპორტულ ხარბიულზე მოხამავებული ჩილოების ნაცვლად, წარუშლელი ტკივილი და შეუხორცხელი იარა დაგვიტოვა...

ყველას გულეში ანცი, ღიმილიანი ხოსო ამაშუკელი დარჩები ისეთი, როგორც ახსოვხარ ყველას.

ფიქვალტურის ინსტიტუტთან არსებულ ბავშვთა-მოზარდთა ექსპერიმენტული სასპორტო სკოლის კოლექტივი და თანატოლები.

რტსმენობაზე ოცნებობდა, საამისი ხო ნიჭი და მონღოლმაც არ აკლდა, მაგრამ...

სპორტულ ხარბიულზე მოხამავებული ჩილოების ნაცვლად, წარუშლელი ტკივილი და შეუხორცხელი იარა დაგვიტოვა...

ყველას გულეში ანცი, ღიმილიანი ხოსო ამაშუკელი დარჩები ისეთი, როგორც ახსოვხარ ყველას.

ფიქვალტურის ინსტიტუტთან არსებულ ბავშვთა-მოზარდთა ექსპერიმენტული სასპორტო სკოლის კოლექტივი და თანატოლები.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩიჩილაძე

სპორტული ლაბარამბის
მომხარულთა საპარადლალო!

სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობის გამო, დარღვეულია საფოსტო კავშირი და 1991 წლის მე-2 ტირაჟიდან საწარმოში აღარ შემოდის სპორტული ლატარიების ბილიეტები.

ამასთან დაკავშირებით, სპორტული ლატარიების რესპუბლიკური საწარმო გაცნობებით, რომ ცხინვალის და ჯავის რაიონიდან შემოსული ბილიეტების „ბგ“ ნაწილები დაიშვებიან იმ ტირაჟისათვის, რომლისთვისაც გამოავხანინან ბილიეტებს, რაზედაც დამატებით გაცნობებით.

სამსპორტლოტო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კომიტეტის წევრი

ალექსანდრე ალაქიძე
და სამამარს უცხადებს ვანგუნების ოჯახს.

ბანიშარტა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მეორე ტირაჟები:

„სპორტლოტო 6 45“-დან: 10 (წყალბურთი), 24 (ხელბურთი), 28 (ტყეის სროლა), 35 (შაბიანი პოკეი), 39 (ბალმინტონი), 43 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 86“-დან: 2 (ბიატლონი), 18 (მძლეოსნობა), 30 (ძალისხერხეობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 (შაბიანი პოკეი).

„სპორტლოტო“	ბანიშარტა	პროცენტები
1. „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი) — „ენისეი“ (კრასნოიარსკი)	26.1	20 70 10 X
2. „ნიხხელმაში“ (ნოვოსიბირსკი) — ახვ (ხაბაროვსკი)	26.1	50 40 10 2
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი)	26.1	80 10 10 2
4. „ტორპედო“ (ხენინ ნოვგოროდი) — „ნიმიტი“ (ვოსკრესენკი)	26.1	10 50 40 X
5. „კრილია ხოვეტოვი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (რიგა)	27.1	40 50 10 1
6. „სოკოლი“ (კიევი) — ცხკა	27.1	20 50 30 X
7. „ბარი“ (ბარი) — „ატლანტა“ (ბერგანო)	27.1	20 70 10 X
8. „ჯენოვა“ (გენუა) — „მილანი“ (მილანი)	27.1	10 60 30 1
9. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „რომა“ (რომი)	27.1	30 60 10 1
10. „ჩეზენა“ (ჩეზენა) — „სამპდორია“ (გენუა)	27.1	10 60 30 2
11. „ლაციო“ (რომი) — „ტორინო“ (ტურინი)	27.1	30 60 10 2
12. „ბარსელონა“ (ბარსელონა) — „ეხპანიოლა“ (ბარსელონა)	27.1	40 50 10 X
13. „კატალიონი“ (კატალიონი) — „რეალი“ (მადრიდი)	27.1	10 50 40 1

„ლელი“ იღვეანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 880098
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დებეშვილისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამედიცინო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი“ — 98-97-26, „მარტვი“ — 98-97-27.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
280009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იხვედება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ზოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20